საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და

ეთნოლოგიის

ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

წერედიანი ნინო დავითის ასული

სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი

სპეციალობა – 07.00.07 – ეთნოლოგია, ანთროპოლოგია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო

ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2006 წ.

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ შამილაძე
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

იოსებ კვიციანი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
დოცენტი

ოფიციალური ოპონენტები:

დისერტაციის დაცვა შედგება 200 წლის . . . . . .
. . საათზე, ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, 0179, მელიქიშვილის ქ. № 10

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.
მისამართი: თბილისი, 380079, მელიქიშვილის ქ. № 10.

ავტორეფერატი დაიგზავნა 200 წლის . . . . . .
. . .

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ქ. ხუციშვილი

<u>თემის აქტუალობა</u>

რელიგიური რწმენა–წარმოდგენები – სულიერი კულტურის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება – მნიშვნელოვანი საკვლევი მასალაა წარსულის აღდგენისათვის. კვლევის სირთულე განსა-კუთრებით ხელშესახებია მაშინ, როცა რელიგიური რწმენა–წარმოდგენების ნაკვალევი, სახიერი კულტურითაა გამოვლენილი. ის ორმაგად რთულია მაშინაც, თუ მისი მეშვეობით წარმოჩენილი ინდივიდუალური კულტურა, საკაცობრიო ღირებულებისაა და მასში, ამ ღირსების

თანადროულად საკუთარი წარმოსახვა და თავისთავადი არსებობაცაა გამოკვეთილი. ასეთი კულტურის შემქმნელი ერი ერთდროულად ავლენს სახეს თავისას და სახეს კაცობრიულისას, რომლის წინაშეც ყოველი შემდგომი თაობაა ანგარიშვალდებული.

როცა პროფესორმა ვერა ბარდაველიძემ ქართველი ერის სულიერი კულტურის შესწავლა დაიწყო (1931 წ.), როგორც საკუთარი, ისე მომავალი ეთნოლოგების წინაშე უმთავრეს ამოცანად დასახა შემდეგი პრობლემები: 1. საქართველოს ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი ხალხური კალენდრის შედგენა–შესწავლა. 2. ხალხის ყოველდღიურ პრაქტიკასა და სულიერ ცხოვრებაში დღეობათა წონისა და მნიშვნელობის გააზრება. 3. ქართული ხალხური დღეობების წარმოშობის წყაროთა მიკვლევა (იხ. ვ.ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი 1939, წინასიტყვაობა, VIII).

ვერა ბარდაველიძის კვლევა–ძიების შედეგად, სვანურ ხალხურ დღეობათა აღნიშვნის ტრადიციიდან გამოქვეყნდა ახალი წლის ციკლის ათი დღეობა და დღეობა ლიფანალი.

სამწუხაროდ, ავტორმა ვერ დაასრულა მიზანი–სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრის მთლიანად გამოქვეყნებისა და, მისი უნიკალური ეთნოგრაფიული მასალა არქივის კუთვნილება გახდა.

არც მას შემდეგ შექმნილა საქართველოს ამ კუთხისთვის (სვანეთი) დამახასიათებელი ხალხური კალენდრის სრულყოფილი სახე – მისი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოქვეყნებული. უმეტეს შემთხვევაში განხილულია ერთი რომელიმე დღეობა ან, ამ

დღეობის რომელიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რითაც მთლიანი ქართული ხალხური კალენდრის შედგენა – შესწავლა განუხორციელე-ბელი დარჩა.

აღნიშნული პრობლემის გადაუჭრელობამ განსაზღვრა მისგან მომდინარე მეორე პრობლემის გადაუჭრელობაც. ეს არის „ხალხის ყოველდღიურ პრაქტიკასა და სულიერ ცხოვრებაში დღეობათა წონისა და მნიშვნელობის გააზრება“ თუმცა, ამ საკითხის გარკვევისას იმთავითვე ჩამოყალიბდა ერთი აქსიომა – „დღეობები ადამიანის კეთილდღეობისთვის ზრუნვაა“ (ვ.ბარდაველიძე).

იმ გამოკვლევათა საფუძველზე რაც ვერა ბარდაველიძემ შექმნა, ქართულ ხალხურ დღეობათა წარმოშობის წყაროდ გამოვლინდა ღვთაება „ბოსელი“//„ბასილა“ „ბამბღუს“ ეპითეტით, რომელიც დროთა მანძილზე გამხდარა ქართველთა „ღმერთი“ – სიცოცხლის განმაპირობებელი არსი. „ღმერთი“ ქართველთა სულიერ სამყაროში შექმნილა „ხარის კულტის“ და „მზის კულტის“ შერწყმის ნიადაგზე (ვ.ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, 1953, 112,113; მისივე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, (ღვთაება ბარბარ-ბაბარ, თბ., 1941).

ვერა ბარდაველიძის მოღვაწეობა ქართული ეთნოლოგიური სკოლის სიამაყეა, მისი ხელით შეგროვილი ეთნოგრაფიული სივრცე კი–ერის საგანძური, მაგრამ ეპოქალურ ტრაგედიას ვერც ამ საგანძურის გააზრება გადაურჩა. საქმე ის გახლდათ, რომ ერის სულიერი კულტურის შესწავლა მკველარმა სვანური ხალხური კალენდრის შედგენა–შესწავლით დაიწყო,

მაგრამ დაიწყო „საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის საბჭოს – მუკი“ მითითებით, რასაც თვით ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარის“ შესავალში. „სვანური ხალხური კალენდრის შესწავლას შევუდექი 1931 წლის ზაფხულში, როდესაც მატერიალური კულტურის სახელმწიფო აკადემიის (ლენინგრადში), მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს (მოსკოვში) და საქართველოს მუზეუმის მიერ მივლინებული ვიყავი სვანეთსა და რაჭა–ლეჩხუმში რელიგიური გადმონაშთების შესასწავლად“.

„მუკის“ დავალება ნათელია, ყოველივე რელიგიური უნდა წარმოჩენილიყო არარელიგიურად – ცრურწმენად, გადმონაშთად და ათასი სახის კულტად, ხალხის მსახურება რწმენა და მათი სიცოცხლის არსიკულტთა და კერპის თაყვანისცემად. ეს მაშინ, როცა ქვეყანაში, ყველაზე დიდი კერპი და კულტი, მსოფლიოში გაუგონარი გონების ოპიუმი, სოციალისტური იდეოლო-გია იჭედებოდა. ამიერიდან ყველა და ყველაფერი ამ კერპის მსახური უნდა გამხდარიყო, მათ შორის, ათასწლეულებით გამოწრთობილი ტრადიციების არსიც.

ამ უბედურებით გამოწვეული შეხედულებების უარყოფას და „ხალხურ დღეობათა წარმოშობის წყაროს მიკვლევას“ ემსახურება წინამდებარე ნაშრომი – „სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი“ – 120 დღეობით, რითაც ადამიანის რაობა, მისი საუკუნო მოვალეობა, ერის სულიერი ხედვა და დანიშნულება შეიმეცნება.

გარდა ამისა, აღნიშნული პრობლემის კვლევის აუცილებლობა და აქტუალობა იმთავითვე ერთმა დელიკატურმა გარემოებამაც განაპირობა; სადიპლომო

ნაშრომის შეფასებისას, რომელიც ეხებოდა ოჯახის მიგრაციასა და დემოგრაფიას ერთი გვარის გენიალოგიის მიხედვით, გამოიკვეთა ასეთი პოზიცია – ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების უქონლობა ქმნიდა და ამყარებდა საქართველოში მრავალშვილიანობის საუკუნოვან ტრადიციას. მაგრამ, ბუნებრივია ერის ყოფნა–არყოფნის საკითხს ეს ბანალური პასუხი ვერ დააკმაყოფილებდა.

ეს პოზიცია არ მოგვცემდა იმ წარსულის სურათს, რითაც მრავალშვილიანობის ათასწლეულებით გამოწრთობილი ტრადიცია იკვეთებოდა – ჩვენ გვჭირდებოდა ის სულიერი სამყარო, რითაც ღვთიური მადლი – შვილიერების სასწაული, მთელი არსებით იქნებოდა გააზრებული.

სწორედ ამ პრობლემის სიმძაფრემ მიგვიყვანა, პირველ რიგში, დღეობათა ტრადიციული სახის გარკვევამდე, რაც საბოლოოდ „სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდრის“ გამოკვლევით დასრულდა.

ნაშრომში განხილული რიტუალური წეს–რიგის ყოველი პრობლემა, გააზრებულია საზოგადოების სოციალური ყოფის, მისი სულიერი სივრცის, ზნეობის, ქცევის, ფიქრის და აზროვნების ფონზე. ხაზგასმულია, რომ დღევანდელი საზოგადოების ურწმუნო დამოკიდებულება ტრადიციებისადმი, ზოგიერთ მკვლევართა არამართებული მიდგომითა და პრობლემის გაუთვითცნობიერებლობითაა გამოწვეული. ასეთი ინერტულობა ერს თვითმყოფადობის გაქრობამდე მიიყვანს!... ნაშრომში გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ უკვე დროა შეიცვალოს მეცნიერებისა და საზოგადოების პოზიცია იმ წინარე ქრისტიანული

კულტურის მიმართ, რასაც ისტორიამ წარმართობა დაარქვა. ამ პოზიციის გარკვევა ერთხელ და სამუდამოდაა აუცილებელი; ქართველთა არსებობას არ გააჩნია ის სულიერი სივრცე, რომელიც ხსენებისთანავე გმობას იმსახურებდეს. ის ისეთი ცოცხალი ორგანიზმია, რითაც ჩვენს ერში ძლიერად და მართლად ხარობს ქრისტიანობა.

<u>კვლევის საგანი და ობიექტი</u>

დისერტაციის კვლევის საგანი სვანეთში დაცული დღეობათა საწელიწადო კალენდარია. კვლევის ობიექტი კი „თავისუფალი სვანეთი“, მისი პირველი სოფელი ლატალი, რომლის ფონემურ მნიშვნელობაზეც ხალხური გადმოცემა აღნიშნავს შემდეგს: ტალი–კარიბჭეა, ლა–ტალი–მეკარიბჭე (მესაზღვრე). ძნელია მსჯელობა ამ აზრის სისწორეზე, მაგრამ სოფლის ისტორიული წარსული ნამდვილად ამართლებს სახელწოდებას – ის კარიბჭეა „საბატონო“ და „უბატონო“ სვანეთს შორის.

კვლევის ობიექტად ერთი სოფლის არჩევა და მასთან შეფარდებით მთელი სვანეთის საწელიწადო კალენდრის წარმოდგენა - განხილვა, ქართული ეთნოლოგიური სკოლის უმნიშვნელოვანესი მეთოდის–ისტორიზმის პრინციპით განსაზღვრული კომპლექსურ–ინტენსიური მეთოდის – საფუძველზეა აგებული. ამ მეთოდის მიხედვით ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე. მნიშვნელოვანია მცირე რაიონის ღრმად შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე“ (გ.ჩიტაია).

ნაშრომით წარმოდგენილი საწელიწადო კალენდარი, მასში შემავალი დღეობათა რიგი, აღნიშვნის დრო და წესი, მათი გამოთვლის პრინციპი, რელიგიური ენა (თეონომია) და მთლიანი რიტუალური სახე, მიეკუთვნება ერთ სოფელს–ლატალის საზოგადოებას.

ამ მასალის ძირეული განხილვით მიღებული მნიშვნელოვანი ნიშან–თვისებები, შეფარდებულია მთელი სვანეთის ცალკეულ დღეობათა ტრადიციულ ფორმებთან (ვგულისხმობთ იმ დღეობათა წესრიგს, რაც ჩვენთვის სამეცნიერო ლიტერატურით იყო ხელმისაწვდომი. (ძირითადად ესაა ვ.ბარდაველიძის მიერ მოკვლეული ეთნოგრაფიული მასალა). საბოლოო დასკვნა კი ჩამოყალიბებულია არა მარტო ლატალისა და საერთოდ სვანეთის, არამედ მთლიანი საქართველოსთვის დამახასიათებელი ტრადიციული დღესასწაულების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლების შუქზე.

<u>კვლევის მიზანი და ამოცანები</u>

დისერტაციის მიზანია დღესასწაულის აღნიშვნის წესისა და რიგის ანუ, რიტუალური წესრიგის წარმოდგენით, პირველ რიგში, დღეობის შინაგანი არსი და შემდეგ, მისადმი „ყოფიერი შემოქმედის“ (ქალის და მამაკაცის) რწმენითი დამოკიდებულების წარმოჩენა. ადამიანი ქმნიდა „ზეციური შემოქმედის“ რწმენის და მსახურების ისეთ სისტემას, როგორიც რიტუალებითაა გადმოცემული.

კვლევისას ვცდილობდით წარმოგვედგინა ის უმცირესი ნიუანსიც კი, რაც საუკუნეებმა დღემდე სულიერი კულტურის ამ ასპექტით შემოგვინახა. იგი არ ეხებოდა მხოლოდ წმინდა რელიგიურ სივრცეს.

დღეობათა წესრიგში შეფარებული რელიგიური მრწამსი მთლიანად განაპირობებდა ადამიანის ამ ქვეყნად არსებობას. თვით სახლის ინტერიერიც კი („შინა“), მისით იყო განპირობებული რომ არაფერი ვთქვათ ქალისა და მამაკაცის ზნეობრივ ასპექტზე. მათ უფლება–მოვალეობებზე, როგორც ურთიერთშორის, ისე გარე სამყაროსთან მიმართებაში. ეს იყო რწმენისა და მსახურების მძლავრი და მწყობრი სისტემა, რომლის წინაშეც ყოფიერების ყოველ წვრილმანსაც კი თავისი დანიშნულება გააჩნდა.

ტრადიციათა განხილვისას უპირველესი ამოცანა იყო: – არ აგვრეოდა ერთმანეთში ქრისტიანული და წინარე ქრისტიანული, აგვეხსნა ამა თუ იმ წესის სინკრეტული ხასიათი; წყვეტილი იყო ეს ხასიათი თუ გარდამავალი, ჰქონდა თუ არა წინარექრისტიანულ ჩვევებს ქრისტიანული გათავისებული და პირიქით, ეწინააღმდეგებოდნენ ისინი ერთმანეთს თუ ავსებდნენ და ჩვეულებას სხვადასხვა ფერით ამკობდნენ, მოვლენას სხვადასხვა წახნაგით წარმოგვიდგენდნენ, თუ ერთად ჭეშმარიტების აღქმას გვიოლებდნენ...

კალენდრით 120 დღეობაა მოთხრობილი. მათი აღნიშვნის რიტუალური ხანგრძლივობა ნახევარ წელზე მეტია. დღეობები, პირველ რიგში, განხილულია პრინციპით, ვისთვის, რომელი წმინდანისთვისაა რიტუალური წესრიგი შექმნილი.

„ხოშა ღერბეთი“, „თარინგზელი“, „ჯგრაგი“ და „ლამარია“ წარმართევენ და განაგებენ თავიანთ სავაზიროსთან ერთად ადამიანის მთელ მსოფლმხედველობას. საკითხი დგებოდა ამგვარად; რაშია ამ „წმინდანთა“ შორის განსხვავება. ემსგავსებიან კი ისინი

ერთმანეთს, თუ თავიანთი ინდივიდუალური არსობით ქმნიან ისეთ მოწესრიგებულ სისტემას, რომელიც პრინციპულად შეცვლიდა მეცნიერულ წარმოდგენას ჩვენში არსებულ წინარექრისტიანულ („წარმართულ“) რელიგიურ სისტემაზე.

სვანური რელიგიური დღეობები და მათი რიგითი საწელიწადო კალენდარი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე მონოგრაფიულად არაა შესწავლილი. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ეთნოლოგია, შესაბამისად საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ენათმეცნიერება, ფოლკლორი ამ მასალის და შესაბამისად მისი ინტერპრეტაციის სიმცირეს განიცდიდეს. პირიქით, ძნელია მოიძებნოს სულიერი და ყოფითი კულტურის რომელიმე სფეროში მომუშავე მკვლევარი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად არ შეხებოდეს ჩვენი ერის წინარექრისტიანულ კულტურას და მის ცოცხალ მაგალითად, პირველ რიგში, სვანური წეს–ჩვეულებები არ ჰქონდეს წარმოდგენილი. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ჩვენთვის ყველა და ყველაფერი ღირებული იყო, ისეთი ნააზრევიც კი, რომელიც უარყოფითი და უცნაური შეფასებით წარმოადგენდა სვანეთში არსებული რწმენა – წარმოდგენების კონკრეტულ გამოვლინებას. მართლაც, იყო მტკივნეული შეფასებებიც, კერძოდ ყოველი კონკრეტული გამოვლინება რწმენითი ტრადიციისა, განხილული იყო როგორც მხოლოდ უძველესი დროის გადმონაშთის სახით წარმოდგენილი ფაქტი ან საგანი, რომელსაც არანაირი სულიერი სივრცე არ ახლდა თან. საუბედუროდ, წინარექრისტიანულ ტრადიციათა მიმართ ეს უსულგულო დამოკიდებულება საბჭოთა ანტირელიგიური კომპანიის შედეგი გახლდათ

და რომ არა ეს დამოკიდებულება და საბჭოთა პერიოდის გამოკვლევებში ამ მუხტის არსებობა, ჩვენი ნაშრომი არც შეიქმნებოდა – ის ბევრად ადრე სხვათა მიერ დაიწერებოდა.

აღნიშნულის ფონზე კვლევის უპირველესი მიზანი გახდა არა ხალხური რწმენა–წარმოდგენების და მათზე არსებული ლიტერატურის ჩვენდა სასურველად განსჯა და თავმოყრა, არამედ მასალის იმგვარად დანახვა და გათავისება, როგორც ეს მის შემქმნელ გონებას და რწმენას მოსურვებია. ჩვენ არ გვქონდა ხალხის სულიერი ნააზრევის განხილვისას იმგვარი ინტერპრეტაციის მომარჯვების უფლება, რასაც მეცნიერული ტერმინოლოგია განაპირობებდა. ასეთ ვითარებაში, ჯერ უნდა დაგვენახა რა, როგორ, რისთვის (ან ვისთვის) ხდებოდა და შემდეგ შეგვესაბამებინა იგი ისეთ მეცნიერულ განმარტებებთან და დეფინიციებთან, როგორიცაა – კულტი, მაგია, ანიმიზმი, ფეტიშიზმი, ზოომორფული, ანთროპომორფული, გადმონაშთი და ა.შ.

<u>ნაშრომის მეცნიერული სიახლე</u>

ნაშრომში წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალა ახალი და საინტერესო ინფორმაციის შემცველია. ეს ეხება არა მხოლოდ ჩვენს საველე ჩანაწერებს, არამედ ქალბატონ ვერა ბარდაველიძის საარქივო მასალასაც.

მთხრობელთა ნაამბობი ცვლილებების გარეშე სვანური ტექსტითაა დაფიქსირებული. დანართში - დისერტაციის მეორე ნაწილში, მას სალიტერატურო ენაზე აქვს დართული თარგმანი.

აღნიშნული მომენტი არ ითვალისწინებს კვლევის ორიგინალობას. აქ მხოლოდ კვლევისთვის აუცილებელი პირობაა ხაზგასმული. დედანი, რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს მისი თარგმნა, სათავისოდ მაინც იტოვებს ისეთი ნიუანსებს, რაც მხოლოდ მისთვისაა ნაცნობი და დამახასიათებელი. ამის გამო, ამ ნიუანსების სიტყვა–სიტყვით თარგმანა უხერხულია. მისი გაშიფვრისთვის საჭირო ხდება ცხოვრებისეული ასპექტების მოშველიება. სიტყვის, როგორც შინაარსის, ისე ფონემური მნიშვნელობის განსაზღვრა და გააზრება. საბოლოოდ, ამ გზით მიღებული აზრი ხდება ამა თუ იმ პრობლემის გასაღები, სიტყვა კი – კოდირებული და საკრალური.

აღნიშნული მიდგომა: რიტუალური ქმედების განსაზღვრისა და მისი უმცირესი ნიუანსის გაშიფვრისა ააშკარავებს თეონომიის სიმდიდრეს, საკრალური სივრცის უსაზღვროებასა და მის გამომხატველ ფორმათა მრავლობითობას.

რელიგიური ენა (თეონომია) თავშეფარებულია დროშიც და სივრცეშიც –დღესასწაულის აღნიშვნის დღეს და მისი იდეის გამომხატველ ქმედებაში: ამა თუ იმ ადგილში, რიცხვში, გეომეტრიულ ფიგურაში, ადამიანის გარემომცველ სამყაროსა თუ თვით ადამიანის არსში. რიტუალისას ყველა და ყველაფერი საკრალურია!...

საკითხის მსგავსმა გააზრებამ მოგვცა ისეთი სურათი, რითაც სხვანაირად იქნა გაგებული იმ „წმინდანთა“ არსი, რომლებმაც შეკრეს წინარექრისტიან ქართველთა მსოფლმხედველობა; სხვანაირად წარმოჩინდა „ერთი“ – უზენაესი „ღმერთი“, დალი – მისი მეწყვილე ქალი, ჯგრაგი და ლამარია მათი მსახური –

მიწიერთათვის უფრო ახლობელი და გასაგები, თარინგზელი – დალის ფორმაშეცვლილი არსი, მეზირი – მადლი უკუგებული და ლიმზირი – ადამიანის საუკუნო მოვალეობა. ასევე, ლემზირის არსი და სახე, მის იდეურ საწყისსა და ამ იდეის გამომხატველ სხვადასხვა ფორმასთან ერთად.

ასე შეიკრა ის მარადიული წრე, რითაც ღვთისგან ადამიანისთვის დაკანონებული მოვალეობა – ღვთის რწმენა და მსახურება – გაცხადდა. გაცხადდა იმ ავადსახსენებელი რელიგიური ხედვით, რაც ისტორიის მიერ „წარმართობის“ სახელით მოინათლა.

<u>კვლევის პერსპექტივები</u>

საკვლევი პრობლემის სირთულე და მრავალასპექტიანობა არ გვაძლევს საკითხის ბოლომდე ამოწურვის შესაძლებლობას. ამ პრობლემის კვლევა უნდა გაგრძელდეს ორმაგ – როგორც ვერტიკალურ ისე ჰორიზონტალურ ჭრილში.

ვერტიკალური ჭრილი გულისხმობს მის მიმართებას ისტორიის სიღრმეში თუნდაც შორეულ სივრცემდე – მკვდარ ენათა მემკვიდრეობამდე. ჰორიზონტალი გულისხმობს მის კვლევას მთელს ქართულ სივრცეზე. ის უნდა იქნეს შედარებული საქართველოს ყველა კუთხის ყოფით მემკვიდრეობასთან, ყოფაში დაუნჯებულ სულიერ სივრცესთან. ეს არ ამოიწურება მხოლოდ რელიგიური დღეობების ასპექტით, რადგან ადამიანის შემოქმედებითი ძალა, მისი სულიერი ხედვა ყველა ფერსა და სივრცეშია გამოვლენილი.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომი პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და მეცნიერებს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, ფოკლორის, ფილოსოფიის, დემოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე. ნაშრომზე მუშაობისას ვხელმძღვანელობდით ჩვენ დიდ მეცნიერთა შეგონებით, რომლის მიხედვითაც – საქართველო ერთი სულით მსუნთქავ ორგანიზმადაა გააზრებული. მისი არსებობა მხოლოდ ქრისტეს ამ ქვეყნად მადლიანი მოვლინებით (ქრისტეს წელთა აღრიცხვით) არ იზომება – იგი უფრო შორეულია. სამყაროსთან ერთად გაჩენილა მისი ჯიში და არსებობა – ეს უზოგადესი ჭეშმარიტება საერთოა როგორც საერო, ისე სასულიერო მეცნიერთათვის!...

ქართველი ის ერია, რომლის სულშიც ერთი ღმერთის რწმენაა კოდირებული. სულ სხვა საქმეა მართლად მსახურებამდე რა გზით მივიდა და რა ფორმით ემსახურა იგი განგებას. მთავარია გამოვიკვლიოთ წარსული და ერთხელ კიდევ გავიაზროთ თუ – „ვინა ვართ და საიდან მოვსულვართ ქართველნი“.

ნაშრომის აპრობაცია

ნაშრომი განხილულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის სხდომაზე (ოქმი №9 2005 წლის 1 აპრილი) და რეკომენდირებული იქნა საჯარო დაცვისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის

ინსტიტუტის სამეცნიერო – სადისერტაციო საბჭოს წინაშე წარსადგენად.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული პრობლემები ასახულია 4 სამეცნიერო ნაშრომში (სია ერთვის ავტორეფერატს).

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა 165 გვერდია. იგი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველში მოცემულია მასალის განხილვა, მეორე ნაწილში (დანართში) კი ეთნოგრაფიული მასალა დალაგებულია კალენდარული პრინციპით. შესაბამისად პირველი ნაწილი წარმოდგენილია შესავალისა და 10 თავისაგან. ნაშრომს თან ერთვის საკრალურ პურთა ფოტოები – მათი გრაფიკული ფორმები.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

შესავალ ნაწილში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, ამოცანები, მეთოდოლოგიური მხარე, პრობლემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. წარმოდგენილი სვანური სახლის საკრალური ღირებულება.

მიგვაჩნდა, რომ ადგილი სადაც მთელი წლის მანძილზე უამრავი რიტუალი ტარდებოდა, თავისთავადაც საკრალური უნდა ყოფილიყო რეალურ სინადვილეში.

სახლის მთლიანი სტრუქტურა, თვით ინტერიერიც კი, ექვემდებარებოდა ერთ ღვთიურ პრინციპს. ეს იყო „დროში სიცოცხლის და არსებობის მარადიულობა“. მაგრამ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აქ, ერთ გარკვეულ

სივრცეში, ორი ბუნებრივი არსის ტოლობა, მათი ერთარსობა და ერთობლიობა იყო შენარჩუნებული. ბუნებრივია, ისმება კითხვა თუ რას ნიშნავს ეს.

იმ უკიდეგანო სივრცეში, რასაც სამყარო ჰქვია, ადამიანს ერთი მცირედი ადგილი აქვს დაკავებული. ეს არის სახლი („ქორ“). ერთი მთელია სამყარო, ერთი მთელია სახლიც. სახლი მთელი ვერ იქნება მაშინ, თუ მასში ორი ბუნების ტოლობაა დარღვეული. არ აქვს მნიშვნელობა იგი ადამიანით იქნება წარმოდგენილი თუ საქონლით.

ამ მცირე სამყაროს (სახლის) ცენტრი კერაა. იგია ცეცხლის ადგილი. აქ მისითაა არსებობა განპირობებული (ცეცხლი → სიცოცხლეა). ცეცხლი ზეციურია და წარმოადგენს ზეციური შემოქმედის (ღვთის!) ნაწილს. სწორედ ცეცხლისადმი იგივე კერისადმი მიმართება ავლენს ორი არსის უფლება – მოვალეობას, მათ ბუნებრივ ფუნქციას (თვისებებს, შინაგან სახეს!), რაც ბუნებრივადვეა ისე განაწილებული, რომ ჯამი მათი არსობისა ერთმანეთის ტოლია. ისინი ცალ–ცალკე „ერთი“ არიან, („ერთმანეთის ტოლნი“) და სიცოცხლის გაგრძელებისთვის „ერთი“ ხდებიან.

გამოდის, რომ ეს „ერთი მთელიც“ – ცეცხლი (ღვთის სახე) – არ არსებულია მაშინ, თუ ადამიანის საარსებო სივრცეში იგი კერის სახით არ არის წარმოდგენილი. იგი ფუნქციურადაც არ არსებულია მაშინ, თუ ამ კერის ირგვლივ მყოფი ორი ბუნება (მდედრობითი და მამრობითი) უფლებრივადაც არ არიან ერთმანეთის ტოლნი.

ჩანს ისიც, რომ ეს „ერთი მთელი“ (კერა იგივე ცეცხლი, ღმერთი ზეციური) განსაზღვრავს მიწაზედ ორი არსის ერთობასაც, ერთარსობასაც და ტოლობასაც. თუკი

მათ შორის ეს წონასწორობა დარღვეულია, ირღვევა კერის ფუნქციაც და ადამიანის სახლობაც (ქორ ნაქორალია, სახლი ნასახლარია), ირღვევა რწმენაც და მსახურებაც, ირღვევა დროში სიცოცხლის გაგრძელების კანონზომიერება.

სწორედ ეს იდუმალი სიახლოვეა სიცოცხლის და არსებობის ფუძე ფორმულა, მიწიერის კვლავ არსებობის საკრალური პრინციპი. ამ საკრალური კავშირით განისაზღვრება ადამიანის საცხოვრისში არსებობა და მისი ზეციურისადმი მსახურების აუცილებლობა. ამ საკრალურ საიდუმლოებას ინახავს მთელი საწელიწადო კალენდარი, რომელიც წინარე ქრისტიან ქართველთა სულიერი ხედვითაა შექმნილი.

სახლის სივრცე „მკაცრადაა“ დაყოფილი ორ ბუნებას (სქესს) შორის. ეს დაყოფა ხაზობრივად გვაძლევს ერთი მხრივ „ფეხზემდგომი“ მეორე მხრივ, „წაქცეული“ ჯვრის სახეს. საკრალურად ფეხზემდგომი ჯვარი + ღვთის სახეა, დასაწყისის ნიშანი წაქცეული ჯვარი - X დასასრულის ნიშანი. დღევანდელი სახლის დაგეგმარებით ეს დაყოფა ასე წარმოჩინდება;



ცალ–ცალკე კი ეს სიმბოლოები ასე დალაგდება

თუკი სახლის დღევანდელ ფუძე–გეგმას (ოთხკუთხედს) წრით შევცვლით მივიღებთ



წრით შემოსაზღვრული სივრცე უძველეს ადამიანთა (ერთა!) საცხოვრისია.

სახლი (ოჯახი) ადამიანის საარსებო ადგილია. აქ ვლინდება ღვთის კანონზომიერება. იგი მისი თვისებების წარმომჩენი სივრცეა. თუ ეს სივრცე არ არის წმინდა და ნათელი, აქ მცხოვრებთა ღვთისადმი მსახურება დარღვეულია და პირიქით, ღვთის (ზეცის!) მადლიც, მათზე წესიერი მსახურებით გამოვლენილი, – დარღვეულია.

ამ საკრალურ სივრცეში ცხოვრობს ადამიანი და აქ ავლენს იგი საკუთარ არსს თავის უპირველეს მოვალეობასთან ერთად. სახიერად ეს მოვალეობა არის სიცოცხლის გაგრძელება, საკრალურად კი – უხილავის, ზეციური ძალის (ღვთის) მარადიული რწმენა და მსახურება. აი ფუძე არსი ადამიანის არსებობისაც და დღეობათა რიტუალური წესრიგისაც.

<u>**თავი პირველი.**</u>

ნაშრომში სახლის საკრალური ფუნქციის განსაზღვრის შემდეგ წარმოდგენილია ახალი წლის პირველი სამი საკრალური დღე – „ეშხვამ“, „ზუმხა“, „კვიმტარ“. ამ თავში აღნიშნულ დღეთა რიტუალური წესრიგი ერთი სოფლის მაგალითზეა წარმოდგენილი,

ხოლო მისი განხილვისას მოტანილი პარალელური მასალა სვანეთის იმ სოფლების ტრადიციას მიეკუთვნება, სადაც უხდებოდა ვ.ბარდაველიძეს მუშაობა 1930–1937 წლებში. ამ ეთნოგრაფიული მასალიდან ზოგი ქალბატონ ვერას არქივის კუთვნილებაა, ზოგიც ნაშრომებითაა სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგენილი.

ერთი სოფლის მაგალითზე რიტუალის წარმოჩენისას ჩვენ დროის პირობით საზღვრად არჩეული გვაქვს 30–იანი წლები. „ძველ დროში“ გავაერთიანეთ ამ დრომდელი. „ახალში“ 30–იანი წლების შემდგომი. ამან რიტუალზე დროის გავლენის ფაქტორი განსაზღვრა და პრობლემის ვერტიკალურ ჭრილში დანახვის საშუალება მოგვცა.

მასალის დალაგების შემდეგ მოხდა დროის მიხედვით მისი დაყოფა ან განსაზღვრა იმისა, დღეობის რომელ მონაკვეთში რა ქმედება ხდება. ბუნებრივია ეს ეხება ორივე „ძველ“ და „ახალ“ რიტუალურ წესრიგს, რითაც გამოიკვეთა ამ ორი პერიოდის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ორივე დროისთვის არსებული საერთო ნიშანი წარმოადგენდა დღეობის ძირითად პირობას. ეს კი მთავარი და არსებითი გახდა დღეობის არსის გაგებისათვის.

აღნიშნულის შემდეგ ხდება ამ არსის გაშიფვრა, მისი უმცირესი ნიუანსის რიტუალში ჩაბმის მიზეზის განსაზღვრა, ქმედების და შედეგის გათვალისწინება და იმის წარმოდგენა თუ რისთვის სჭირდებოდათ ესა თუ ის საგანი და მოქმედება, რა იდეურ საწყისს ემსახურებოდა იგი. ყოველივე ამის განსაზღვრა ნათელს ჰფენდა რიტუალური ენის შინაარსაც კი.

აქ ასევე უმნიშვნელოვანესია რიტუალური ფაქტის დაკავშირება მოქმედ პირებთან - ქალთან და კაცთან, ბავშვთან და ასაკოვანთან, ის თუ რატომ იყო იგი ან მხოლოდ ქალთან ან მხოლოდ კაცთან მიმართული, რა პრინციპს ექვემდებარებოდა მსგავსი აკრძალვები, ჰქონდა თუ არა მას რაიმე საერთო ადამიანის ბუნებასთან, მათ სქესობრივ არსთან, იყო თუ არა ეს აკრძალვა მართებული და წარმმართველი რიტუალის აგებაში.

აღმოჩნდა, რომ რიტუალი არაფრის და არავის სახიერ კულტს არ ემსახურება. ამ საკრალურ დროში მონაწილე ყველა, სულიერიც და უსულოც, მხოლოდ იდეის მსახურია. მხოლოდ ამ იდეისთვის იქმნება საკრალური ქმედების (რიტუალის!) მთელი ინსტიტუტი. რიტუალი არაფრის და არავის კულტს არ ქმნის. მით უფრო, დღეობები არ არის კულტ–მსახურების წესრიგი. რიტუალისას ყველა და ყველაფერი საკრალურია, რადგან ერთ საკრალურ დროში ხდება ქმედება, საკრალური იდეის წარმოსაჩენად. ეს იდეა წარმოადგენს ჩვეულებრივ დღეს არაჩვეულებრივად – „დღე–სასწაულად“. ესაა ყოველი დღესასწაულის აღნიშვნის უპირობო პირობა – არაა იდეა – არაა რიტუალი!...

აღნიშნულის გაცნობიერების შემდეგ ახალი წლის საკრალური იდეის მსახურებისთვის აუცილებელ პირობად გამოიკვეთა შემდეგი რიტუალური წესრიგი; 1. შესაწირი ზვარაკი 2. შესაწირი, აღსავლენი ლემზირი 3.სამეკვლეო და მეკვლენი. 4. საახალწლო სარიტუალო საგნები და 5. დღეობის მფარველნი, მათი რწმენა და მსახურება, მათდამი ლოცვითი მიმართვები.

ეს გახლდათ უპირობო პირობა იმისათვის, რომ ადამიანის არსებობის კიდევ ერთი ციკლი (ერთი წელი,

დროის ერთი მონაკვეთი!) მშვიდობიანად, ხვავიან–ბარაქიანად გატარებულიყო.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არსებობს აქსიომა, რომელიც ეხება ახალი წლის მფარველს. ეს აქსიომა წარმოადგენს ქართველთა უძველესი ღვთების გენეზისს. მისით განისაზღვრა „ღვთის“ გამოვლენის პირობა.

აღნიშნული შემდეგი სახითაა წარმოდგენილი – ახალი წლის მფარველია მამაკაცური ბუნებრიობის ღვთაება ბოსელი. იგი სვანური ახალი წელიწადის რელიგიურ წესში გამოკვეთილია უკვე ანთროპომორული ითიფალური ღვთაება ბომბღას სახით, როგორც საზოგადოდ სქესობრივი განაყოფიერების, საქონლისა და ადამიანთა გამრავლების, მოსავლიანობისა და დოვლათიანობის უზენაესი მფარველი (ვ.ბარდაველიძე, 1953, 115).

ამ `არსების“ პარალელურად რიტუალში გვყავს ეშხუამის მფარველი – დალი, რომელიც ცისკრის ვარსკვლავადაა მონათლული. ამ ორის გვერდით კი, არსებობს მზის კულტი, სახელწოდებით ქალ–ბაბარი, რომელიც დღეობა ბარბლაშის მფარველადაა მიჩნეული (ვ.ბარდაველიძე, 1941). თავის მხრივ, დღეობა ბარბლაშია უძველეს ქართველთა უძველესი ახალი წელი (ვ.ბარდაველიძე, 1941) ანუ, იმაზე უფრო ადრინდელი, ვიდრე ახალ წლად იანვრის თვე (13 რიცხვი) აირჩეოდა.

დროთა განმავლობაში ცხოველის (ხარის) სახის ღვთაება ბოსელის კულტი უნდა შერწყმოდა მზის კულტს და ამ შერწყმის ნიადაგზე ჩამოყალიბდა „ფუსნა–ბუასდის“ კულტი–უზენაესი ანთროპომორფული ღვთაება, ანუ ღმერთი (ვ.ბარდაველიძე, 1953, 118). სწორედ ეს

ანთროპომორფული ღვთაება გახლავთ ახალი წლის უზენაესი მფარველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვიგებთ, რომ

1. ქართველებში უზენაესი მფარველი პირველად იყო ზოომორფულ ითიფალური არსება, ხარის სახიანი და ერქვა „ბოსელი“. ეპითეტად გააჩნდა ბომბღა იგივე ბამბღუ.
2. შემდეგ ეტაპზე იგი გახდა ანთროპომორფულ - ითიფალური და მოგვევლინა საკრალური სახელით ბომბღა – მანამდელი მისი ეპითეტი გახდა სახელი.
3. მესამე ეტაპზე „ბოსელი“ შეიქმნა ანთროპომორფული ღვთაება, რადგან იგი შეერწყა მზის ღვთაება ქალ–ბაბარს და მივიღეთ ფუსდ აბუასდი, ანუ სამყაროს მფლობელი – ღმერთი.

იეშხამის მფარველი დალი, ამ „ქმნის“ // „შერწყმის“ პროცესში არ მონაწილეობს. ეს ეხება მხოლოდ ახალი წლის მფარველ „ბოსელს“ (ზოომორფულ ბუნებას, ანუ ხარს) და მზის კულტს – „ქალ–ბაბარს“, „ბარბლაშის“ მფარველ განგებას. აღნიშნული „ჭეშმარიტება“ დამტკიცებულია, პირველ რიგში, სვანური ეთნოგრაფიული მასალებით – საქართველოს ამ კუთხეში არსებული რწმენა წარმოდგენებითა და რიტუალური წესრიგით.

ვეთანხმებით თუ უვარყოფთ ზემოთ აღნიშნულს მთლიანი საწელიწადო კალენდრის განხილვის შემდეგ. ამის წარმოდგენას ვიწყებთ საახალწლო სარიტუალო საგნების საკრალური მნიშვნელობის განსაზღვრით, ხუთივე ნიშან–თვისების გაშიფვრით და შემდეგ მთელი საწელიწადო კალენდრის წარმოდგენა-განხილვით იმავე ეთნოგრაფიული სივრცის საფუძველზე, რითაც ზემოთ

აღნიშნული პრობლემაა ვერა ბარდაველიძის მიერ დამტკიცებული.

პირველ რიგში აღვნიშნავთ იმას, რომ რიტუალურად ახალი წელი და ბარბლაში არ უკავშირდებიან ერთმანეთს - პირიქით. მათ შორის დიდი სხვაობაა. ამის თქმის შესაძლებლობას ამ დღეობათა იდეური დატვირთვა იძლევა. ბარბლაში და მახე ზçი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული და ცალ–ცალკე არსებული დღეობებია ისინი სხვადასხვა სასწაულს ემსახურებიან.

რაც შეეხება ეშხამსა და მახე ზაის, ესენი ერთმანეთთან დაკავშირებულიც და ურთიერთ განპირობებულიც არიან. ერთის არსებობა მეორეზეა დამოკიდებული, მეორის კი – პირველზე და არა მარტო მათი, ორივე ერთად განაპირობებს მთელი საწელიწადო რიტუალური წეს–რიგის საკრალურ არსებობას.

ეშხამ, შეშხამ, ლიძიენალ - ამ ფონემური სივრცით არსებობს სვანეთში ახალი წლის წინა დღის საკრალური სახელი. არსებობს აზრი, რომ ეშხამ უნდა ნიშნავდეს ეშხუსა და ჰამს (ერთი+დილა), რადგან ახალ წლამდე ერთი დილაა დარჩენილიო. ზოგიერთი ინფორმატორის აზრით, იგი დამუშხვას აღნიშნავს, რადგან ამ დღეს დგამ–ჭურჭლის ცხელი წყლით და ნაცარ–მტუტით დამუშხვა ხდებაო. ზოგის თქმით, რადგან ამ დღეს ახალი წლის საკლავი იკვლება, ლიძიენალიც ამიტომ ჰქვიაო. ზოგიც ამ დღეს შაშვით ლოცვის დღეს უწოდებს, ზოგი კი სამჭედლოს ლოცვის დღეს და ა.შ.

ვფიქრობთ, ეშხამ-ის საკრალური ფუძე ეშხუა. (ეშხუ→ერთი)-ამ იგივეა რაც–სა, კუთვნილების მაწარმოებელი ბოლოსართი. დღეობის არსიდან

გამომდინარე ამ სიტყვის აზრი ნიშნავს ლოცვას და დიდებას „ერთი“–სათვის, „ერთი“–სადმი. ე.ი. ეს დღეობა „ერთი“–ს დღეობაა. ერთი რიცხვითი სახელია. მას სქესის გამომხატველი არანაირი ვიზუალური და შინაარსობრივი მხარე არ გააჩნია. არ ჩანს იგი ზოომორფულია თუ ანთროპომორფული და მით უფრო, ითიფალურ-ანთროპომორფული ან ზოომორფულ-ითიფალური. ამ სიტყვის არც შინაარსი და არც გარეგნული ფორმა სქესს არ ავლენს. ის ვიღაცის ან რაღაცის („ერთ“–ის) იდეურ არსს გადმოგვცემს.

გარდა ამისა, რიტუალი გვთავაზობს უამრავ პირობას იმისათვის, რომ ამოვიცნოთ ეშხუამის მფარველის ბუნება. ეს პირობებია შემდეგი,

1. ეშხუამის მფარველი „ეშხუ“ მკვეთრად გამოხატული და „მეორი“–საგან განსხვავებული ბუნებაა.

2. მას არც მცენარის, არც ცხოველის და მით უმეტეს ადამიანის სახე არ გააჩნია. იგი იდეური სიტყვა, პარადიგმა ანუ იდეური პერსონაჟია.

3. ეს პერსონაჟი ქალურ ბუნებას უკავშირდება. ეს ჩანს მისივე დანართიდან – „დალ“. ეშხუამის მფარველს სრულად დალ-ეშხუმიშ ეწოდება. დალ უთეთრესობის, უსინათლესობის, ღვთიური ქალურობის მომცველი სახელია (ჩანს, მონადირეთა მფარველ ქალ–ღვთაებას, დალს, ეს სახელიც ამ ბუნების გამო შეერჩა).

4. ეშხამ თავად არის ძველი წლის ბოლო და ახალი წლის პირველი დღე. მის დროში (წიაღში) მთავრდება ძველი და იწყება ახალი წელი. როგორც ახალი წლის პირველი დღე, ისე მთელი წელიწადი მისი არსებობის შედეგია; „ეშხუ“, შესაბამისად დალ Éეშხუამიშ დროის და სივრცის მეუფეა!...

5. ეშხუამის დროში მიმდინარე ყველა უმთავრესი რიტუალური ქმედება უკავშირდება ქალს. ის ზრუნავს ამ დღისთვის შემოდგომიდანვე. მისი ხელით იქმნება როგორც ეშხუამის, ისე მახე ზაის საკრალური სივრცე და არა მარტო ამ დღეთა. ქალის ბუნება და სიწმინდე განაპირობებს მთელი წლის საკრალურ ქმედებას, რიტუალური წეს–რიგის სწორად წარმართვას, დღეობების მართებულად აღნიშვნას. ქალი მთავარი პირობაა ღვთისაგან მადლის მისაღებად. იგი დალ-ეშხუამის მსახურია.

6. ეშხუამის მფარველ ეშხუს საკრალური სახე წრე, წრით შემოსაზღვრული სივრცეა. ეს დროის ციკლია, ერთი წლის საკრალური გზა.

ეს გზა დასაწყისის და დასასრულის ნიშანია, სრულყოფილების ნიშანთან ერთად. წრე დალის საკრალური სივრცეა. სინათლესთან ერთად სივრცის სიღრმე და იდუმალება დალის თვისებაა.

7. დალ ეშხუამის პირველი შესაწირი მრგვალი, ულემზირო ბურთულა- კვერია. ამ კვერის პირველი შემწირველი მზის სხივია – სინათლის სხივი. შეწირვის ადგილი – კარსარკმელ დახურული სივრცე. ოჯახია მისი ძალის და მადლის მაზიარებელი, მაგრამ ჩუმად, უხმოდ, ულაპარაკოდ. მისი პირველი ზვარაკი დედა ღორია – მისი როგორც „ერთად მრავლის მშობი“ ბუნების შეწირვა ხდება კერასთან, ქალთა სკამზე (ბანდარზე) წამოწვენილი.

8. დლ ეშხუამის უნარი წლის ძალის შემცვლელია „ზაიყერი მცადია“ მისი ეპითეტი. დალ ეშხუამიში საკრალური განგებაა , რომლის შედარება მხოლოდ მზის სიდიადესთან შეიძლება. ამ სიდიადის აღქმისას მზის სიმრგვალე და სიკაშკაშე არაფერ შუაშია. მთავარი მისი არსი და ძალაა. ეს სინათლის, სითბოს და სიყვარულის უნარია. მისით ხდება ამ ქვეყნად ყველაფრის დაბადება. ეს კი უზენაესი დამბადებლის თვისებრიობაა. უზენაესი დამბადებელი დალ ეშხუამისია. ერთად ყოველივეს დაბადება „წლის შემცვლელი ძალის“ თვისებაა. მისადმი ვედრება და დღეობის შექმნის კანონზომიერება ყოველივეს თეთრად შექმნის, რაც სიკარგით და სითეთრით მოვლინების ვედრებაა. რწმენა მსახურების საწინდარია!...

9. დალ ეშხუამის ქალურ ბუნებას ყველაზე საკრალურად და ყველაზე ნათლად გუზის სიმბოლური და რიტუალური დატვირთვა წარმოგვიდგენს. გუზ არის: ა) მრავალკვირტიან ტოტთა ნაკრები – ახალი წლის აუცილებელი სამეკვლეო ნივთი ბ) ლემზირისათვის საჭირო წმინდა ფქვილის მარაგი გ) საიდუმლოდ ლოცვის წარმართვის წესი და დ) მიწის ნაკვეთი, რომელიც საგვიზე ხორბლის მოწევისთვის იხვნება მხოლოდ („ლა–გუზ“).

ხემცენარის პატრონი დალ ჯეჯგლაბია, სალემზირე მიწის პატრონი ლამარია, ყოველივე ლემზირის წარმომქმნელი - „ლამარიას გუზ“. საიდუმლოდ ლოცვის წესიც ლამარიასია. „ლამარია წეს“ ასე ჰქვია ქალის საიდუმლოდ ლოცვის წესს (გვუზ თავადაა საიდუმლოდ ლოცვა – მხოლოდ ქალთა შესრულებით!). საგვიზე მიწის დამუშავების, მოყვანის და მის ლემზირად ქცევის მთელი სამეურნეო პროცესიც ქალის (ლამარიას) წესია. ამ

საკრალური სივრცის გამრიგე და მწყალობელი დალია ეშხუამის. მის მსახურადაც ამიტომაა ქალი არჩეული. ლამარია ამ მსახურების საკრალური ფონემა იგია ყოველივე „ზებუნებრივთა“ რიტუალური მსახური. ასე ეს დღეობათა წეს–რიგით სამუდამოდ გადაწყვეტილი და ბოლოს.

10. მხოლოდ გუზის და არა ფულის ნაცრით იხატება მთელი საკრალური სამყარო – „ამ ქვეყნად არსებობისთვის საჭირო და აუცილებელი“. იხატება გომურის ტიხრზე, მთელს შინას ინტერიერზე, იხატება დიასახლისის მიერ ერთ საკრალურ დღეს.

<u>თავი მესამე</u>

საკალანდო ზვარაკი ავლენს საკრალური დღის მფარველის ბუნებას, ანუ ზვარაკად ყოველთვის ის საქონელია შერჩეული, რომელიც მფარველის შესაფერისია, მისი ერთ–ერთი თვისების გამომავლინებელია. ამის გამო შეწირვაც მიღებული და მართებულია (დçლ ეშხუამის ზვარაკად დედა ღორი, მისი „ერთად მრავლის მშობი“ ბუნების გამოა არჩეული. ამ იდეისთვის იგი ყველაზე „სარგებლიანი“ და „თვალსაჩინო საქონელია“). მეორე მხრივ, ზვარაკი დაკავშირებულია დაავადებებისაგან დაცვასთან მე შემოგწირავ, შენ შემეწიე, მიხსენი ავისგან“. სიავე კი ავად ყოფნაა. მით უფრო გადამდები. ეს გაუგონარი ტკივილია მათთვის. მესამე სასურველი პირობა–საზვარაკე საქონლის სიმრავლეცაა.

სამივე აქ აღნიშნული, სიმბოლურად ვლინდება უწენა–ლალყაჯებით. „უწენა“ ასეთი აზრის მტვირთველია; ყველაფრის შემქმნელი და დამბადებელი თავის წიაღში დედა ბუნებაა. იგი ქმნის ავსაც და კარგსაც. მაგრამ ქმნის საიდუმლოდ, სხვებისგან დაფარულად, უხმაუროდ,

სხვისი თვალის უნახავად (უბრად და სხვის უნახავად წესის ასრულების მომენტიც აღნიშნულს უკავშირდება, კარ–სარკმელ დახურულ შინაში წესის შესრულების პირობაც ამ იდეის მსახურია) უწენალების მთელი საკრალური მხარე ამ იდეის გამომავლინებელია.

„ლალყაჯ“ სხვა რამის კერძოდ მარხვის მომცველია, მისი წესად დაკანონების შედეგია. „მე შემოგწირავ, შენ შემეწიე მე ავიკრძალავ, შენ შემეწიე – ვიცი მიშველი“... ასეთია ის კონტექსტი, რითაც წესის შესრულებაც კანონდება და ზვარაკის ზვარაკად შეწირვაც აღესრულება – სამუდამოდ – ყოველ საკრალურად დათქმულ თუ აღთქმულ დღეს, დღეობის დღეს. ასეთია ზვარაკის რიტუალური არსი.

<u>თავი მეოთხე</u>

სახიერად ქალის ხელი, საკრალურად კი „ლამარია გუიზით“ შექმნილი ლემზირებია ყოველი „ლიმზირის“ შემსრულებელი.

ლემზირებით გამოვლენილი უწენა – ლალყაჯების წესიც იმ იდეის მტვირთველია, რაც ზვარაკის უწენა – ლალყაჯებთან მიმართებაში აღინიშნა. ეს წესი ადამიანის ხილული ქმედების სახეა, რათა გამოვლენილ იქნეს „ქმნის“ საიდუმლოება. ანუ, გამოვლენილ იქნეს ის, რომ „ვინმე“ ადამიანისაგან საიდუმლოდ (უხილავად) მოქმედებს, რადგან უხილავად და საიდუმლოდ ქმნა მისი უნარია! „უწენალები“ და ზოგადად ლამარია გუიზ (მისგან დაცხობილი ლემზირი თუ შეჭამანდი), „ვინმეს“ მიერ უხილავად ქმნის სახეა.

ამ თავში განხილულია ყველა ის საწესო ლემზირი, რომელიც მოქმედებს მთელი წლის მანძილზე, მაგრამ

ყველა ისინი არსებობას სწორედ ეშხუამის დღით იწყებენ, იწყებენ ლამარია გუიზის მეშვეობით.

აქ განხილულია ყველა ის შესაძლო ნიუანსი, რომელიც წარმოგვიდგენს ლემზირის საწყის ფორმას, მის სახიერ ცვლილებას, ამ ცვლილების შესაბამის იდეურ საზრისს და ლემზირის ზოგად ფუნქციას. ის სარკეა, ძალზედ საიდუმლო სარკე, ღვთის სახის გამოსახატად შექმნილი; ეეშხუამ–მახე ზაის საწესო ლემზირები დçლ ეშხუამის და ღერბეთის არსის მჩენნი არიან.

ლემზირი ავლენს ადამიანის სულს და ადგილს ამ ქვეყანაში.

ლემზირი, პირველ რიგში, სალოცავი პურია ღვთაებათა კუთვნილი შემდეგ ადამიანის მისართმევი, მაგრამ აქაც უზადო კანონზომიერებაა დადგენილი. ლემზირი მადლია ადამიანის სამყაროში ღვთისგან მოვლენილი – ისევ ღვთის სადიდებლად და სავედრებლად შექმნილი. ამიტომ ჰქვია სალოცავ პურს ლემზირი „(ლე–მზირ!)“ და არა უბრალოდ პური („დიარ!“) კუჭის დასანაყრებლად დამზადებული.

ყოველი დღესასწაული ლამარია გუიზისაგან ლემზირების დაცხობით იწყება. ლამარია გუიზის ხორბალი შემოდგომის ნათესია. ის საუკეთესო ხორბლის ჯიშია, მხოლოდ სალემზირედ განკუთვნილი. მას ბეღელში (გუემ) ცალკე კიდობნით შეინახავენ და პირველად შობის დღეს გახსნიან.

ლემზირის საკრალურობა იტვირთებოდა არა ბარბოლის დღით, არამედ ლეშხუამით, არა ბარბოლის გუიზით, არამედ ლამარიათი. სალემზირე ხორბალი დაფქვის შემდეგ ცალკე კიდობანში ინახებოდა და მას ერქვა მთლიანად ლამარია გუიზი. შემდეგ დღეობათა

მიხედვით ერქმეოდა სხვადასხვა სახელი ბარბლაშს გამოსაცხობად საჭიროს ეძახდნენ ბარბლაში გუიზს, ქრისდეშს გამოსაცხობს – ქარისდეში გუიზს. ან თუ დიდი ოჯახი იყო მას დღეობათა კუთვნილების მიხედვით თავიდანვე ანაწილდებდნენ ცალ–ცალკე კიდობნებში.

არსებობდა ლამარია გუიზის პირველად გახსნის რიტუალიც. გÍიზ განუყოფელია „წმინდის“ არსთან. ლიმზირის მართებულობა დამოკიდებულია წმინდა ლემზირზე. „წყლიან ლემზირ“ უპირობო პირობაა ლიმზირის ჩასატარებლად.

მიწაც კი ვერ იქნებოდა საკრალური იმ შემთხვევაში, თუ ის წმინდად ქალების მიერ არ დამუშავდებოდა. ამ დროს სოფელიც წმინდა უნდა ყოფილიყო. მიწის სიწმინდეს ქალის სიწმინდე განაპირობებდა, ქალის ფიზიოლოგიური მდგომარეობა გადააქცევდა სახვნელ მიწას „ლაგუზად“, ხორბალს წმინდა კუეცნის გუიზად.

ვხედავთ, როგორც ხორბალს ისე მის მომწევ წიაღსაც (მიწას!) ეს აზრობრივი დატვირთვა (საკრალური მნიშვნელობა) ქალის ბუნებამ მიანიჭა და ღვთის („წმინდის“) წმინდად მსახურებაც ქალის გონიდან გამოიკვეთა. მან უზენაესის ხილულ მსახურად თავის–თავთან ერთად მიწაც გაიაზრა და ამ ორივეს (ერთ არსის მქონეთა) მფარველს ლამარია უწოდა, რადგან ორივეს არსი ლიმარეა→საკრალურ ლემზირთა ლიმარე.

მთელს სვანეთში ყველა სახის სარიტუალო წესს საიდუმლო სამოსი ამშვენებს პირველი, იმის გამო, რომ ისინი შექმნილი არიან ლამარია გუიზისაგან და მეორე, იმის გამო, რომ შექმნილი არიან საიდუმლო საკრალურ დღეს–ეშხუამს.

ლემზირი საკრალური დღის მსახურია. საკრალურ დღეთა შინაარსის შესაბამისად იქმნება სალოცავი პურის იერსახე – ჰქონდეს თუ არა მას სხვა შინაარსი, შეცვალონ თუ არა ფორმა და დანიშნულება – ამ საკითხს დღეობის საკრალური დატვირთვა განაპირობებს.

ეშხუამ – მახე ზაის წიაღში შექმნილი ლემზირებიც აკონკრეტებენ იმ გარემოებას, რომ სამყაროს ჰყავს ორი შემოქმედი – ყოველივეს დამბადებელი და შემქმნელი. სხვა, მესამე, სქესით (ბუნებით და არსით) დაკონკრეტებული, აქ არც მითში არსებობს და არც რეალობაში. ამ უზოგადესობის კონკრეტულ სახელწოდებებად დღესასწაულით გვევლინებიან.



სქესი ხდება ღვთაებათა არსის გამომხატველი. მათი უფლება–მოვალეობანიც ამის მიხედვით განიყოფება. ეს მსოფლხედვა არ იტევს ცხოველთა და მცენარეთა გაღმერთებას და გასხეულებას. აქ უპირველესად სამყაროს აღქმა და მისი კანონზომიერების გათავისებაა უმნიშვნელოვანესი, სამყაროს და ბუნების საწყისად კი ორი ზებუნებრივი არსია მიჩნეული.

მსოფლხედვა, ჩანს, პირველ რიგში, გრძნობითი აღქმაა, შემდეგ აზროვნება და ბოლოს, ლოცვა და ის სახიერება, რასაც დღესასწაულთა აღნიშვნის წესები გვაძლევს. ამიტომ ჩვენთვის წარმოუდგენელიც კია მხოლოდ ყოფითი ნიშნების სიძველით და ამ ნიშნებით (საგნებით) გამოხატული ხედვით იქნას დაყოფილი რწმენა კულტებად და ნაწილებად (ვინ იცის რისი) ისე, რომ არ დავინახოთ ის სიმბოლიზმი, რასაც აზროვნება და გონება ამ ნიშნების არსობასა და თანამიმდევრობაში (ქმედობაში) გამოავლენდა. ხეც, ქვაც ლემზირიც და მისთანანი, ადამიანს მისი შინაგანი ხედვის გამოსამჟღავნებლად

სჭირდებოდა. სჭირდებოდა იმისათვის, რომ თავისი შინაგანი, თანდაყოლილი რწმენა, მარადიულად ექცა და საბოლოოდ იგი დღეობათა წეს–რიგში გამოეკვეთა.

წრე, ლემზირებ დაუსახავი ლემზირი, დალ ეშხუამ საკრალური სახეა. ეშხუამის დღეს დალის შესაწირი პირველი საკრალური პური კუანჭილია. კუანჭილ→კვეჭოლის (ცოტა, პატარა) დაკნინებული ფორმაა. მისი იდეური დატვირთვა სიუხვის მოვლინებაა. მრავალად მისი შეწირვა მრავალი სიკეთის მომტანია. იგი ოჯახის ყველა წევრმა უნდა მიირთვას უბრად,. უხმაუროდ, კარ–სარკმელ დახურულ შინაში, მზის ამოსვლამდე.

შემდეგ ამ წრეზე დასახული სამ ლემზირიანი ლემზირი ხდება დალ ეშხუამის აღსავლენი წმინდა პური. იგი „ერთის“ საკრალური სახეა. („ერთარსება სამი“ – „დამბადებელი“, „შემქმნელი“ და „ყოველივე შექმნილი“ – ერთ ლემზირზე დასმული სამი ლემზირი ამ იდეის მტვირთველია) ეს ლემზირი საკაცო ლემზირია. იგი თავის მხრივ ამ ბუნების (მამრის) ადგილსაც გამოხატავს – ეს სამყაროზე მამრობითი არსის მეუფების სიმბოლოა, საპირისპიროდ იმ იდეისა ქალის კუთვნილი ლემზირი რომ აღნიშნავს. „შინა“ ქალის სივრცეა! მისი ბუნების სიღრმეს და იდუმალებას (დალის, ქალის არსს) ემატება „ეშხუს“ – ყოველივე შემოქმედის არსი – ძალა და პირველობა („ლიჟეღუ“) და, ვღებულობთ ღმერთის ლექსემას: ღრმა+ერთი→ღმერთი.

ვფიქრობთ, ეგაა ის რიგი საკრალური ნიუანსებისა, რომელიც ქმნიდა ღვთის არსს და აყალიბებდა მის ფონემურ სტრუქტურას, რადგან ეს სიტყვა საერთოა მთელი ქართველობისთვის, საერთოა მისი წარმოშობის

წინაპირობაც! „ქართველებს წარმართობაც საერთო ქართული ჰქონიათ!“ – ბრძანებდა დიდი ივანე ჯავახიშვილი.

ამ სახის ლემზირებზე კვლავ ერთი „ლემზირის“ ან ნაჩვრეტის დასმით ვღებულობთ ისევ ორი დანიშნულების ლემზირს; საქალებოს და მამაკაცთა მისართმევს, ვღებულობთ საკრალურ ციფრებს ერთს, სამს და ოთხს (1 . 3 . 4).

ოთხნაჩვრეტიანი ლემზირი ქალის კუთვნილი ლემზირია ისევე როგორც სამიანი და ოთხ ლემზირიანი ლემზირი კაცის კუთვნილი ლემზირია ისევე როგორც სამლემზირიანი ლემზირი. ესენი, პირველ რიგში, ამ ბუნებით დაყოფილ „ღვთაებათა“ აღსავლენია, შემდეგ ადამიანთა მისართმევი.

ამ საკრალური რიცხვების დასმით მიღებული ორი სახის ლემზირი ახალი წლის საწესო წესების – ლაჭიშხ ლემზირების“ – (სამეკვლეოთა) სახეც ხდებიან. ისინი ორი ზეციური არსის ემბლემა–ლემზირებია. მათი შინაში მოსვლით ხდება ოჯახი დალოცველი – ხვავიან ბარაქიანი, ბედნიერი და გამართლებული.

ამ ლემზირებზე დასახულ საკრალურ რიცხვთა გრაფიკული სახე ისეთ ხატს ქმნის, რასაც სვანები ჯუარს ეძახიან, ლემზირს კი მუჟეღუს. ის ხოშა ღერბეთის კუთვნილია.



← ჯუარ ← მუჭეღუ

მამაკაცთა ლემზირით მიღებული



← ჯუარ ← მუჭეღუ

ქალთა ლემზირით მიღებული



← მუჭეღუ ← მამაკაცთა ლემზირით

← მუჭეღუ ← ქალთა ლემზირით

მიღებული

მუჭეღუ ახალი წლის „მეორე“ შემოქმედის (დალისაგან განსხვავებით) „ერთ“ – არსება ღმერთის თვისების, მისით ყველაფრის წინამძღოლობის და განპირობებულობის („პირველობის!“) გამომავლინებელია, „მუჭეღუ“ – ამისათვისაა მის ეპითეტად შექმნილი.

ასე მიგვიყვანა ლემზირთა კლასიფიკაციამ „ერთი“–დან ღვთის გენეზისის განსაზღვრამდე. როგორც რიტუალური წეს–რიგის იდეური არსი, ისე ლამზირთა საკრალური მხარე, წრე და წრეზე დასმული სიმბოლოები, ამტკიცებს „ერთი“–დან ყველაფრის შექმნის იდეას. „ერთი“–ს ერთადერთობას, „ერთის ორბუნებას“ და ერთის „სამბუნებოვნებას“. ეს ასევე ამტკიცებს მიწიერის ზეციერისადმი მსახურების აუცილებლობას. ლემზირის სახეა ამ აზრის მტვირთველი. იგი აღნიშნავს მზერას მიწიერისა ზეციერისადმი. ეს ცის და მიწის საკრალური ერთობის ის გამოვლინებაა, რითაც მსოფლმხედველობა ადამიანის ღმერთთან მიახლოებას და საკუთარი არსის ამოცნობის სურვილს აფიქსირებდა – აფიქსირებდა რიტუალებით, ზეციურისადმი მსახურების წეს–რიგით. ამ მსახურებას კი დაბადების სასწაული ედო საფუძვლად.

ჭეშმარიტება ქართველთათვის ერთია – უზენაესის ჭეშმარიტება, ყველაფრის მისით წარმომავლობის რწმენა. მაგრამ აქაც თავისებურებასთან გვაქვს საქმე. საწყისად ორი, ცალ–ცალკე არსებული არსია მიჩნეული „ერთად“. სულიერი ხედვის ამ ორიგინალურობას სინამდვილე და სიძველე უდევს საფუძვლად. როგორც ხილულად არაფერია შექმნილი ორი არსის ერთობლიობის გარეშე, ისე წარმოსახვისთვისაც შეუძლებელია ყოველივეს შექმნა მათი „ერთარსობის“ გარეშე. ამიტომაცაა ეს ორი ბუნებრიობა აქ, რწმენაში, ასე ურთიერთჩაგვირისტებული, ჩაწნეხილი და ჩახშულიც კი (საიდუმლო!). აქ არაა სახიერი საშიშვლე ზე–არსებებისთვის დამახასიათებელი. პირიქით, ეს ხედვაა ბოლომდე საიდუმლოდ შექმნილი!.. ერთისთვის „ქმედებაც“ – დღესასწაულების აღნიშვნისა და „ენაც“ მისი მსახურებისა, ამიტომ ხდება საიდუმლოებით

მოცული. ის ახსნას საჭიროებს ჩვენგან, რადგან ძველია, მაგრამ ახსნას არ საჭიროებდა მათთვის, ვინც ქმნიდა მათ. ჩანს დროთა მანძილზე სულიერ ხედვას იგი რელიგიად – სიმბოლოებად და რიტუალურ ენად აქცევდა, რათა ასე გამხდარიყო წარმოსახვითი საიდუმლოება ათასწლეულების კუთვნილი.

<u>თავი მეხუთე</u>

არავის არაფერთან შერწყმას არ ითავსებს ფუსნა–ბუასდი (ღმერთის ერთ–ერთი ეპითეტია, რაც ნიშნავს სამყაროს გამრიგეს). ის თავისთავად არსებული ერთი, არსია ისევე როგორც დალი. „ეშხუ“ დროთა განმავლობაში პირველი ხდება, ჩანს, იმ ცვლილების გამო, რომელიც მეურნეობაში ქალის როლის დაკნინებით გამოიკვეთა. ეს ევულუციური პროცესი რიტუალებში ნათლადაა დაფიქსირებული. მათში არსებობს საკრალური სივრცის ისეთ შრე, რომელიც მხოლოდ ქალთა დღეობებს ითავისებს, ითავისებს პირველად დალის (მზის ღვთაების!) უზენაესობას, ყველაფრის დედის წიაღით დაწყების კანონზომიერებას და ამ კანონზომიერების მიმართ მხოლოდ ქალის მსახურებას. იგი ხდის მიწას საკრალურს და მის ნობათს ლემზირს – პირველ შესაწირს.

თავის მხრივ, მსგავსი რელიგიური სივრცე ისტორიის პირველ საფეხურად არის მეცნიერებაში დაფიქსირებული. უძვლეს ხალხთა ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ქალის ტერაკოტული ფიგურები ნაყოფიერების სინკრეტული იდეის გამომავლინებელია. ამ იდეის მიხედვით სიცოცხლის გაგრძელებაში მამრის როლი უარყოფილია – ყველაფრის საწყისი დედა-ბუნებაა.

რიტუალებში ნეოლითის ევოლუციური პროცესი დალსა და ეშხუს შორის ადგილთა გადანაცვლებით აღინიშნა. ამ გადანაცვლების შემდეგ ეშხუ გახდა პირველი (მუჟეღუ), დალი კი მისი ვაზირი - ფუსდ მქემ თარინგზელი.

ფონემა თ′რინგზელშია ნგზელის, ნაგზელის, ლიგზელის საკრალური უნარი თავშეფარებული ანუ, ის რაც ქალის ბუნებიდან დაბადების უნარით გამოიხატა. ამ ცვლილებით ლამარია (მიწა და მისი საკრალური არსი, ქალი და მისი მსახურების წეს–რიგი) კვლავ „ეშხუ“–ს მსახურად დარჩა. მისთვის არაფერი არ შეცვლილა, რადგან, მიწა ისედაცაა ზეცის მსახური, ქალი კი კაცის (მისი ძალის და არსის მაღიარებელი). – ასეა ეს ყველაფერი რწმენით და ბუნებით გადაწყვეტილი.

ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა: მზის სახელი „მზირა“ თავდაპირველად მნათობის თვისების აღმნიშვნელი მიმღეობა ან ზედსართავი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ შემდეგში გახდა იგი ქართულში მზის საკუთარი სახელი, აფხაზურ–ჩერქეზულში მთვარის აღმნიშვნელი.

ეს აზრი თავადაა თქმა იმისა, რომ „მზირა“ პლანეტის საკრალური სახელია. იგი ზედსართავია, წოდება, თვისებრიობის გამომხატველი ფონემა. (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979, 164–169). სწორედ ამ თვისების (მზირ–ის, მზერ–ის) ირგვლივ არსებულ საკრალურ სივრცეს გვთავაზობს ლემზირი.

ლე–მზირ, სალოცავი პურია მზირ–ისადმი განკუთვნილი.

მე – მზირ, მლოცველია. სალოცავი ლემზირის მზირისადმი აღმვლენი.

ლი–მზირ, ლოცვაა, მზირასადმი მიმართული.

გვჭირდებაა კი ამაზე მეტი მტკიცება იმისათვის, რომ მზირ–ის საკრალურობა გავითავისოთ ან, მის ირგვლივ არსებული რელიგიური სივრცე აღვიქვათ სინამდვილედ და რწმენის და მსახურების უძველეს ხედვად მივიჩნიოთ იგი.

ამ სამ სიტყვაშია ყველა ის პირობა გაარსებითებული, რითაც ჩვენს წინ არსებული რწმენა და მსახურება გავითავისოთ არა ქაოტად, არამედ მყარ მონოლითურ სისტემად, რომელსაც ჰყავდა ერთი მფარველი (ეშხუ) – „მზირ“, ჰყავს მისი მორწმუნე – „მემზირ“ და ახდენს მისადმი მსახურებას, ლიმზირს, ლემზირით – წმინდა წესით, წმინდა ადგილას.

ვფიქრობთ, ეს ქართველთა მსოფლმხედველობის უძველესი სახეა. ეს რწმენა და რჯულია წინარექრისტიანი ქართველის.

სვანური „მზირ“–ის ფონემას ვერ ხსნის. სამაგიეროდ მისი საკუთარი სახელი – „არდი“ – „ლირდეშია“ ასოცირებული. ლირდე სიცოცხლე და არსებობაა სვანურად („მზეს ოდესღაც არდი უნდა რქმეოდა“ – ივ. ჯავახიშვილი). „არდიც“ დალის საკრალური სივრცის დროინდელია. იგი დალის თვისებრიობას აღნიშნავს მზირ–თან (მზერ–ის ფუნქციასთან, მზინვარების ფუნქციასთან) ერთად.

დალი სივრცესა და დროში სიცოცხლის და არსებობის განმაპირობებელია. იგი იწვის და იმზირება („მზირ“!), მისი სახიანი ლემზირი „ჭირვატი“ კერის თავზეა მთელი წლის მანძილზე ჩამოკიდებული. იგი იქმნება ეშხუამის დროში.

არდის, იგივე მზირას, იგივე მზეს საკრალური დღე კვირა დღეა – „მიჟ ლადაღ“ (მზის დღე!) – ქრისტიანობამ ამ

დღეს კვირიაკე ანუ საუფლო უწოდა. (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979, 162, 170, 171). ქრისტოლოგიით ღმერთი სიცოცხლის მზეა, მისი წვის და ნათების მამზირალია ქართველი. იგი მისი მლოცველია სალოცავი ლემზირით. ეს საუკუნო მოვალეობაა მისი.

ამ გზითაც მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ღვთის გენეზისი მხოლოდ და მხოლოდ მზის სიდიადეში ასოცირებულ ძალას უკავშირდება. არც დღესასწაულთა საკრალური იდეა და არც შესაწირი ლემზირების სახე არ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ „ღმერთი“, როგორც ლექსემა და როგორც რელიგიური არსი, მზის და ხარის შერწყმის ნიადაგზე ჩამოყალიბდა.

სარიტუალო ლემზირებში არ არსებობს „ხარის თავის“ ან „ხარის შუბლა“ ლემზირის სახე, შესაბამისად ღვთის ზოომორფული სახე. ის რაც ხარის თავადაა აღქმული, შეიძლება ყველანაირი არსების თავად მივიჩნიოთ. აქ არაფრის და არავისი თავი არაა წარმმართველი. ლემზირში „სამის“ საკრალურობაა აღქმული. ერთში – ღმერთის საკრალური სამობაა განსახიერებული და იგი ჩვენთვის ქრისტიანული „სამობის“ წინაპირობადაა წარმოდგენილი.

წინარექრისტიანული „სამობა“ შემქმნელს, დამბადებელს და ყოველივე შექმნილს მოიაზრებს „ერთ“–ად სამლემზირიანი ლემზირით. ასეთი „ლემზირ“ ამ იდეის საკრალური სახეა. „ერთი“ – „სამარსია“ ასე გვიკონკრეტებს წინარექრისტიანთა რწმენა ღვთის არსს და სახეს. „ერთი“–ს საუკუნო მსახური ჯგრაგი და ლამარია შესაბამისად მათი მიწიერი სახეა. „ქალი და კაცი“ („მიწიერი შემოქმედნი“) მათი მეუფების მაღიარებელნი არიან.

ასეთია მთელი ის მითოლოგიური სივრცე, რასაც გვთავაზობს სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. მის წარმოდგენა–გაშიფვრას ემსახურება მთელი წინამდებარე ნაშრომი. ვფიქრობთ, უკვე აღნიშნულის გამო ნაშრომის მომდევნო თავთა წარმოდგენა, თქმულის კვლავ განმეორება იქნება. ამიტომ საუბარს მათი აქ წარმოდგენით არ გავაგრძელებთ. დავძენთ იმას, რომ კალენდრის მიხედვით წარმოდგენილ მითოლოგიური სივრცის გაშიფვრას ეხება ნაშრომის თერთმეტივე თავი. თვითოეული მათგანი ამ სივრცის ცალკეულ ნიუანსებს განიხილავს. მთლიანობაში კი ისინი იმ ფორმად იკვრება, რაც ზემოთაა წარმოდგენილი. გარდა ამისა;

ყოველი რიტუალი ავლენს თავის სტრუქტურას, მთელი საწელიწადო კალენდარი კი ყოველივე ამ დღეობის სტრუქტურულ მთლიანობას. აღნიშნული შემდეგი გარემოებებითაა განპირობებული:

1. საკრალური იდეა და მისი მფარველი (სქესით განსაზღვრული),
2. აღსავლენი ლემზირები (ფორმით და რაოდენობით განსაზღვრული),
3. მათი შექმნის დრო და ადგილი (გამთენიისას, დილით, შუადღეს, საღამოს, ღამით, კარ–სარკმელ დახურულ შინაში და სალადბაშე ადგილზე),
4. ლემზირების შემქმნელი (დიასახლისი – „ხოშა ზურალ),
5. წმინდად მსახურების პირობები (წმინდა გუიზი და წმინდა ლემზირი),
6. შესაწირი ზვარაკი (სქესით განსაზღვრული, მისი არჩევა დამოკიდებულია მფარველის საკრალური თვისებრიობაზე),
7. შემწირველი – მემზირ (სქესით განსაზღვრული),

8. შეწირვის ადგილი (ეს ეხება ლემზირსაც და ზვარაკსაც. კერის წინ, სალოცავი სარკმლის წინ, სალოცავში, ლამარიაში, სახლის შინას სხვადასხვა მხარეს, სალადბაშე ადგილას),
9. რიტუალების აღსრულების დრო. სასწაულის აღნიშვნის და მსახურების სოციალური პირობები (ოჯახი, თემი თუ სოფელი, ხევი და მთელი საქართველო),
10. საიდუმლოდ (ოჯახში) ლოცვის წესი (უწენად ლიმზირ). ეს წესი დამოკიდებულია სადღეობო დღის მფარველის არსსა და თვით საკრალური დღის არსზე. ასევე, უწენად, მამაკაცების გარეშე, წარმოებს ყველა ქალთა დღეობა, იქნება იგი ქორის შინაში თუ გარეთ, – ღია ცის ქვეშ – სილალბაშე ადგილზე. მამაკაცის ასეთი ლიმზირი ტარდება წელიწადში ორჯერ. ერთი სიკვობის დღეს „პეტრ ბაჩართან“ და „უფლიშიერის“ დროს ეზოში. მონადირეთა ლიმზირი მხოლოდ მამაკაცების რიტუალია,

11. დღის მფარველის სავედრებელ სადიდებელი. იგი ფორმულირდება ა) დიდების თქმით, ბ) პატიების მოთხოვნით გ) წყალობის იმედით.

კალენდრით წარმოდგენილია წარმართ ქართველთა უძველესი ახალი წელი. ესაა ბიხობის დღესასწაული. იგი იწყება 23 აგვისტოს და მთავრდება 27–ში (მისი სადღეობო დღე ოთხი დღეა!). 23 აგვისტო კი წარმართ ქართველთა ახალი წელი. ბიხობით იწყება მთელი საწელიწადო კალენდარი–საკრალურ დღეთა ათვლა და წლის დროებით დანაწილება. იგია დროის და სივრცის საზღვარი.

წელიწადის სრული ციკლი დაყოფილია 14 დროდ. ეს თოთხმეტივე თავისთავში ითვისებს დროის სამ ფენას – წინარექრისტიანულს, გარდამავალს და ქრისტიანულს. იგი ხან დროის სახელწოდებაშია გამოკვეთილი, ხან

დღეობათა წეს–რიგში, ხან კი – მათი ათვლის კანონზომიერებაში.

ბიხობ ქართველთა უძველესი თავდღეობაა იგი ბარბალობამდელია. მის კანონზომიერებას მემინდვრეობა უდევს საფუძვლად, ბარბლაშისას–მესაქონლეობა. ამ ორივეს საკრალურ არსს ეშხუამ–მახე ზაის რიტუალი ასრულებს – მანამდე თქმულს თუ ქვეცნობიერს ერთ მონოლითად აქცევს.

თავდღეობის საკრალური არსი დაბადებაა – უძველესი მსოფლხედველობის დასაწყისიც დაბადების საიდუმლოება. მისი შემოქმედი „ერთი“ → „ღმერთი“ ხდება ქართველია „მმზრიც“ (დამლოცველი!) და ლემზირიც (სალოცავი).

ადამიანი და ღმერთი ურგთიერთგანმაპირობებელი არსია. ეს ისეთი საკრალური სივრცეა, რომელიც არ არსებობს რწმენის, მსახურების და მადლის გარეშე. ეს სიყვარულის გზაა–ღმერთსა და ადამიანს შორის მარადიული კავშირის გამომავლინებელი. ეს სიცოცხლეა სამყაროში ადამიანის არსებობის განმსაზღვრელი.

ღმერთთან მიახლოების და საკუთარი არსის ამოცნობის სურვილია დღეობათა რიგიც და რიტუალური წესიც. ადამიანის ხედვაა ეს ყველაფერი – მარად არსებულ „ერთ“→„ღმერთს“ არ სჭირდებოდა იგი. ჩვენთვის კი სასწაული ტრადიციული ხედვის და მსახურების ერთობლიობაა. სასწაულია მთელი ქართველობისთვის ბუნების დაუწერელ კანონთა ერთნაირად შეცნობა და შემდეგ წესად დაკანონება, ჩვევად, მრწამსად, ქცევად, აზრად და სიტყვად გათავისება ისე, თითქოს ეს ყველაფერი ერთი ორგანიზმია, ერთი სულით მსუნთქავი

ორგანიზმი. საოცრებაა ეს ყველაფერი!... ღვთის ნება– სურვილი ხომ ბოლომდეა შეუცნობელი....

დასასრულს აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ კვლევით გამოვლენილი სულიერი ხედვის თვითოეული ნიუანსი, მეტის თქმის შესაძლებლობას იძლევა. იგი ითხოვს ფერთა სიმრავლეს - საქართველოს ყველა კუთხეთა ტრადიციული ხედვის თავმოყრას და ერთ ეროვნულ მსოფლმხედველობად მის ჩამოქნა-ჩამოყალიბებას, რაც იმედია გამოვლენილ იქნება შემდგომი კვლევის პროცესში.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია:

1. Religiöses Brauchtum in Swanetien. N. Cerediani. Die Rolle der Frau im rituellen Kontex. Cultura Caucasica. Vol.1 / No 1/ September 1998. Tbilisi. SS.5-33.
2. “Wer Swanetien nicht gesehen hat, hat er Georgien nicht gesehen”. Kaukasische Post. Cuna Georgica. Gesellschaft zur Förderung der Kultur und der Natur in Georgien. Nr.16. März 1999. S.23.
3. Neujahr in Swanetien. Kaukasische Post. Cuna Georgica. Nr.18. Juli/August 1999. S.25.
4. Liphanali. Kaukasische Post. Cuna Georgica. Nr.21. Januar/Februar 2000. S.27.
5. წერედიანი ნ. საახალწლო სარიტუალო საგნები, ეთნოლოგიური კრებული № 1, თბ., 2005 წ.
6. წერედიანი ნ. სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი, ნაწ.I, „ამირანი“ კავასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო–კვლევითი საზოგადოებრივი

ინსტიტუტის მოამბე, XI_1, მონრეალი–თბილისი, 2005 წ. გვ. 5–225.
7. წერედიანი ნ. სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი, ნაწ.II, „ამირანი“ კავასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო–კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, XI_2, მონრეალი–თბილისი, 2005 წ., გვ. 5–250.